ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლოცვას თაქბირით იწყებდა, შემდეგ კითხულობდა, "ალლჰამდუ ლილლაჰი რაბბილ 'აალამიინ

გადმოცემულია მორწმუნეთა დედის აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლოცვას თაქბირით იწყებდა, შემდეგ კითხულობდა, "ალლჰამდუ ლილლაჰი რაბბილ 'აალამიინ", როდესაც რუქუ'ზე მიდიოდა თავს არც მაღლა წამოწევდა და არც დაბლა დახრიდა, არამედ მათ შორის აჩერებდა, როდესაც რუქუ'იდან თავს წამოწევდა და სწორდებოდა საჯდაზე არ მიდიოდა, სანამ არ გასწორდებოდა ფეხზემდგომი, როდესაც საჯდაზე თავს წამოწევდა მეორე საჯდაზე არ მიდიოდა, სანამ დამჯდარი არ გასწორდებოდა, ყოველი ორი რაქათის შემდეგ ათ-თაჰიათს კითხულობდა, ის მარცხენა ფეხს დააწვენდა და მარჯვენა ფეხს მაღლა დააყენებდა, ეშმაკის მსგავს დაჯდომას კრძალავდა, ასევე კრძალავდა, რომ მამაკაცს იდაყვები გაეშალა, როგორც მტაცებელი ცხოველი აკეთებს ამას, და ლოცვას სალამის მიცემით ასრულებდა.

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მორწმუნეთა დედა აიშამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გაიხსენა შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლოცვა, რომ ის ლოცვას თაქბირის წარმოთქმით იწყებდა, და ამბობდა: "ალლაჰუ აქბარ", ლოცვას ხსნიდა სურა ალ-ფაათიჰათი. ალჰამდუ ლილლაჰი რაბბილ 'აალამიინ (ქება დიდება სამყაროების ღმერთს). როდესაც ფეხზე დგომის შემდეგ რუქუ'ზე წავიდოდა, რუქუ'ის დროს თავს არც მაღლა სწევდა და არც დაბლა დახრიდა ხოლმე, არამედ სწორად გასწორებული (ზურგის გასწვრივ) იჭერდა, როდესაც რუქუ'იდან წამოდგებოდა გასწორდებოდა წელში სანამ საჯდაზე წავიდოდა, როდესაც პირველი საჯდადან წამოწევდა თავს, ის მეორე საჯდაზე, მანამ არ მიდიოდა, სანამ დამჯდარი არ გასწორდებოდა. ყოველი ორი რაქათის შემდეგ ჯდებოდა თაშაჰუდზე და კითხულობდა: "ათ'თაჰიათუ ლილლაჰი ვა სსალავაათუ ვა ტტაიბაათუ..." (ყვოველი მისალმება ალლაჰს ეკუთვნის, ყოველი ლოცვა და სიკეთეები), როდესაც ორ საჯდას შორის ან ბოლო თაშაჰუდზე დაჯდებოდა მარცხენა ფეხს გაშლიდა და დაჯდებოდა მასზე, ხოლო მარჯვენას დააყენებდა. აკრძალულია, რომ მლოცველი ლოცვაში იჯდეს შაიტანივით: ანუ გაშალოს ფეხისგულები მიწაზე და დაჯდეს ქუსლებზე; ან უკანა საჯდომი მიაკრას მიწას, წვივები[მუხლები] კი სწორად წამოყენებული მდგომარეობაში და ხელები მიწაზე დადოს, როგორც ძაღლი შლის; ან კი ლოცვისას იდაყვები გაშალოს და სუჯუდში გააფართხოს, როგორც მტაცებელი ცხოველები იფართხებიან. ის ლოცვას მისალმებით ასრულებდა: «ასსალამუ ალეიქუმ ვა რაჰმათულლაჰ», (ალლაჰის მშვიდობა და წყალობა იყოს თქვენზე), მარჯვნივ და შემდეგ მარცხნივ ერთხელ.